



ედვნება წმ. გორგი მთაწმიდლის დაბადების
1000 წლისთავს

ფ ს ა ლ მ უ ნ ნ ი

ფ ს ტ ზ ჭ ო ნ ნ 1



ფ ს ა ლ მ უ ნ ნ ი

პარალელური ტექსტები

ძველი ქართული კანონიკური
– მხედრული და ნუსხური –
და თანამედროვე ქართული ადაპტაცია

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი
2012

დაიბეჭდა
უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით

ფსალმუნის ამ გამოცემაზე მუშაობდნენ:

პროფესორი **ირინე მელიქიშვილი**, ძველი ქართული ტექსტის თარგმნა-ადაპტაცია თანამედროვე ქართულზე;

გურამ დოჩანაშვილი, თანამედროვე ტექსტის სტილისტურად გამართვა;

დეკანოზი **მიქაელ გალდავა**, თანამედროვე ტექსტის თეოლოგიური რედაქტორი;

სალომე ზვიადაძე, თანამედროვე ტექსტის აპრობაცია და კორექტურა;

ასოცირებული პროფესორი, მღვდელი **ლევან მათეშვილი**, ნუსხური ტექსტის კორექტურა;

პროფესორი **ლელა ხაჩიძე**, † პროფესორი **თინათინ ცქიტიშვილი**, რეცენზენტები; ფილოლოგ. მეცნ. კანდ. **ქეთევან გადილია**, მთავარი რედაქტორი და კოორდინატორი.

ფსალმუნთა კანონიკური ტექსტი მიეკუთვნება მე-11 საუკუნეს. მიუხედავად ქართული ენის კონსერვატიულობისა, თითქმის ათსაუკუნოვანი ტექსტი ენობრივი თვალსაზრისით აღარაა სრულად გასაგები თანამედროვე მკითხველისათვის. ძველი ქართული და მისი თანამედროვე ადაპტაციის პარალელურ ტექსტებად გამოცემის კონცეპტუალურ ქვაკუთხედს წარმოადგენს დედნის, ანუ წმიდა გიორგი მთაწმიდლისეული ტექსტის ერთგულება და თანამედროვე ქართული ადაპტაციის გამართული ენა. წიგნში წარმოდგენილი სამი პარალელურად განლაგებული ტექსტი – ძველი ქართული მხედრული, ძველი ქართული ნუსხური და თანამედროვე ქართული ადაპტაცია – ერთნაირად სასარგებლო იქნება არა მარტო მლოცველებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისა და სტუდენტ-მასწავლებლებისათვის.

დიზაინერი და დამკაბადონებელი თინათინ ბერბერაშვილი

© ფსალმუნების თანამედროვე ქართულ ენაზე ადაპტირებული ტექსტი, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, მოსკოვი, 2010, 2012.


© გაფორმება, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, მოსკოვი, 2010.

გარეკანი გაფორმებულია ლუკას სახარების 1054 წლის ხელნაწერის თავსამკაულით.

ISBN 978-9941-0-4047-4



წინასიტყვაობა	7
ფსალმუნთა კითხვის წესი	12
ქართული ანბანი	15
ფსალმუნნი	
კანონი პირველი	16
კანონი მეორე	30
კანონი მესამე	47
კანონი მეოთხე	67
კანონი მეხუთე	86
კანონი მეექვსე	103
კანონი მეშვიდე	126
კანონი მერვე	148
კანონი მეცხრე	166
კანონი მეათე	183
კანონი მეთერთმეტე	203
კანონი მეთორმეტე	227
კანონი მეცამეტე	245
კანონი მეთოთხმეტე	263
კანონი მეთხუთმეტე	280
კანონი მეთექვსმეტე	297
კანონი მეჩვიდმეტე	312
კანონი მეთვრამეტე	332
კანონი მეცხრამეტე	348
კანონი მეოცე	368
ბიბლიის წიგნთა შემოკლებანი	384
ახსნა-განმარტებები	387



წინასიტყვაობა

ფსალმუნთა კანონიკური ტექსტის ძველი ქართული ენიდან თანამედროვე ქართულად გამართვაზე ანუ ადაპტირებაზე მუშაობა ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტმა დაიწყო 2004 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს ეკლესიის აქტიური მონაწილეობით. ეს უაღრესად საჭირო ერთობლივი პროექტი განხორციელდა რეალურად არსებული სიტუაციის გათვალისწინებით. მისი აუცილებლობა ემყარებოდა, კერძოდ, შემდეგ მოსაზრებებს:

1. საქართველოში არსებობს ფსალმუნის კითხვის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია;
2. ფსალმუნთა წიგნს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე ქართული საზოგადოების სულიერ ღირებულებათა სისტემაში;
3. ფსალმუნთა კანონიკური ტექსტი მიეკუთვნება მე-11 საუკუნეს და მიუხედავად ქართული ენის კონსერვატიულობისა, ბუნებრივია, წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ თითქმის ათსაუკუნოვანი ტექსტი ენობრივი თვალსაზრისით იყოს სრულიად გასაგები თანამედროვე მკითხველისათვის;
4. პროექტის დაწყების წინა ეტაპზე ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა მრევლის ნაწილში ფსალმუნის შინაარსის არასწორი აღქმისა და გააზრების ფაქტი.

ბიბლიური ტექსტის გაგება ძირითადად ხორციელდება ორ დონეზე: ერთი მხრივ, *თეოლოგიურ* და *ჰერმენევტიკულ* (დაფარული, შეუცნობელი), ხოლო მეორე მხრივ, ენობრივ დონეებზე.

ფსალმუნის ძველი ქართული კანონიკური ტექსტის თანამედროვე ქართულად ადაპტირების მიზანია, მოხსნას ენობრივ დონეზე არსებული სირთულე, დაუბრუნოს ბიბლიას, კერძოდ კი ფსალმუნების წიგნს, თავისი თავდაპირველი და უპირველესი დანიშნულება – იყოს მლოცველისა და მკითხველისათვის ღვთიური მადლის ზიარებისა და ბიბლიური სიბრძნის შეცნობის უმრეტეი წყარო. ძველი ქართული და თანამედროვე ქართული ტექსტების პარალელურად დაბეჭდვა შესაძლებლობას აძლევს მლოცველს წაიკითხოს ძველი ქართული ტექსტი და იმავედროულად, მისი ენობრივი თვალსაზრისით უკეთ გაგების მიზნით, ისარგებლოს აგრეთვე ადაპტირებული, თანამედროვე ტექსტით.

ადაპტაციაზე მუშაობისას ერთ-ერთი უმთავრესი და ურთულესი ამოცანა იყო ძველი და თანამედროვე ქართულის ისე შერწყმა, რომ მიგველო ერთი ორგანული ტექსტი, რადგან პროექტის კონცეპტუალურ ქვაკუთხედს დედნისადმი, ანუ

წმიდა გიორგი მთაწმიდლისეული ტექსტისადმი ერთგულება და თანამედროვე ქართული ტექსტის გამართული ენა წარმოადგენს.

ბიბლიის კანონიკური წიგნები ეკლესიის მიერ დაკანონებულ ღვთივსულიერ წიგნებს ეწოდებათ. ფსალმუნის კანონიკურ ტექსტში ივულისხმება ის ტექსტი, რომელიც ეკლესიის მიერ დადგენილია საკითხავად და სალოცავად. ფსალმუნის ქართული თარგმანის მეათე საუკუნეზე ადრინდელი ხელნაწერები ჩვენამდე მოღწეული არ არის. ეფრემ მცირის ცნობით, გიორგი მთაწმიდელმა ორგზის თარგმნა ფსალმუნი. სწორედ გიორგისეული მეორე რედაქცია არის საქართველოს ეკლესიაში დღეს მიღებული კანონიკური ტექსტი.

2009 წელს შესრულდა 1000 წელი წმიდა გიორგი მთაწმიდლის დაბადებიდან (10 ივლისი მისი ხსენების დღეა). ფსალმუნის პარალელური ტექსტების 2010 წლის გამოცემა სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა.

ფსალმუნთა ქართული თარგმანის ისტორია და მისი ტექსტოლოგიური წყარო მეცნიერთა ინტენსიური კვლევის საგანია. ის, რაც დღეს ვიცით ქართული ფსალმუნის შესახებ, მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. მოგვეპოვება მწირი ინფორმაცია გიორგი მთაწმიდლამდე არსებული ქართულენოვანი ფსალმუნებისა და ფსალმუნთა თარგმანების წყაროს (სირიული, ბერძნული, სომხური) შესახებ;
2. დაზუსტებით არ ვიცით, გიორგი მთაწმიდელმა თავიდან თარგმნა თუ მხოლოდ საფუძვლიანად გადაამუშავა არსებული თარგმანები;
3. დაზუსტებით ვიცით, რომ გიორგი მთაწმიდელმა ქართული ფსალმუნის ტექსტი გამართა მაშინ არსებული მისთვის ხელმისაწვდომი ბერძნული ხელნაწერების მიხედვით.

პროექტზე მუშაობისას ძველ ქართულ ტექსტს საფუძვლად დაედო მზექალა შანიძის მიერ დადგენილი გიორგი მთაწმიდლისეული ტექსტი (გამოიცა 1960 წელს). ჩვენ ვისარგებლეთ ელენე დოჩანაშვილის მიერ 1983 წელს გამოცემული მცხეთური ხელნაწერის ელექტრონული ვერსიით, რომელიც საფუძვლიანად შეუჯერდა მზექალა შანიძის მიერ დადგენილ ტექსტს. იმ შემთხვევაში, როდესაც ძველი ქართული ტექსტის გაგება ჭირდა ან ტექსტი პრობლემურად გვესახებოდა, ადაპტაციის ავტორი მიმართავდა ბერძნულ სექტანტას (LXX) და ებრაულ (მასორეტულ) ტექსტებს. ზოგ შემთხვევაში ბერძნულ ტექსტზე დაყრდნობა აუცილებელი ხდებოდა გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად, ქართული *ცხონება/მაცხოვარება*, რომელსაც ბერძნულში შეესაბამება ხან **σπτερια** [სოტერია] „გადარჩენა“, ხან **Ζοε** [ძოე] „სიცოცხლე“, ადაპტირებულ ტექსტში განსხვავდება ბერძნულის შესაბამისად. სიტყვები *ცხონება/მაცხოვარება* ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებულია და მხოლოდ ზოგჯერ იცვლება უფრო გასაგები ექვივალენტებით *გადარჩენა*, *ხსნა*, რათა აზრი უფრო გასაგები იყოს.

ქართული ენა ცნობილია თავისი კონსერვატიულობით, ხოლო ძველი ქართული ენა თანამედროვეთათვის არაა სრულიად გაუგებარი, რაც ვვიქმნის იმის ილუზიას, რომ ძველი ქართული გასაგებია თანამედროვე ქართველისათვის. სი-

ნამდვილეში, შეიძლება ითქვას, რომ სხვაობა ძველსა და თანამედროვე ქართულს შორის საკმაოდ სერიოზულია. კერძოდ:

1. შეიცვალა სიტყვათა რიგი. ძველ ქართულში გაბატონებული იყო მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობა, ახალ ქართულში კი უფრო პრეპოზიცია არის გავრცელებული (თუმცა სტილისტური თვალსაზრისით დასაშვებია პოსტპოზიციაც). სიტყვათა რიგი ადაპტირებულ ტექსტში კონტექსტის მიხედვით შეირჩეოდა;
2. შეიცვალა მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის ძირითადი წესი, ებ-იანმა მრავლობითმა შეცვალა ნარ-თანიანი მრავლობითი. თანამედროვე ქართულში ნარ-თანიან მრავლობითს მხოლოდ სტილისტური დატვირთვა აქვს;
3. დიდი ცვლილებები მოხდა ლექსიკური თვალსაზრისით: ზოგი სიტყვის მაგიერ სხვა ერთეული გაჩნდა; ზოგი ისევ არის ენაში, მაგრამ მნიშვნელობა აქვს შეცვლილი. ზოგი სიტყვის მნიშვნელობათა რიგი გაფართოვდა სხვა მნიშვნელობებით, ზოგისა კი – დავიწროვდა. მაგალითად, სიტყვა *ერი* ძველ ქართულში ნიშნავდა ერთი მხრივ, *წარმართს*, ხოლო მეორე მხრივ, *ხალხს*, *ეთნოსს*. თანამედროვე ქართულში მისი მნიშვნელობა დავიწროვდა და მხოლოდ *ხალხს*, *ეთნოსს* აღნიშნავს;
4. ყველაზე რთული ცვლილება მოხდა ზმნურ პარადიგმაში, რაც გამორიცხავს ძველი ქართული ზმნური ფორმების გადმოტანას თანამედროვე ქართულად. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, რომელ ასპექტთან, დროსთან და კილოსთან გვაქვს საქმე, რაც ყველაზე დიდ ძალისხმევას მოითხოვს ტექსტის სწორად გაგების თვალსაზრისით:
 - ა) თანამედროვე ქართულში სრული ასპექტი ძირითადად ზმნისწინით არის გამოხატული: *და-წერა* (სრული) – *წერს* (უსრული); ძველ ქართულში კი ასპექტურ შინაარსს მწკრივი გამოხატავდა;
 - ბ) ძველ ქართულში არ იყო მომავალი დროის ცალკე ფორმა, იგი კავშირებითი კილოს ფორმებით გადმოიცემოდა, ამიტომ მუდამ გასარკვევია, რას გამოხატავს ზმნა: მომავალ დროს, კავშირებითს ანუ სასურველ მოქმედებას თუ შესაძლებელ მოქმედებას. მაგალითად: *ცხონდების – აცხონოს* თუ *აცხონებს? ვაქებდე – ვაქო* თუ *ვაქებ? იხარებდეს – გაიხაროს* თუ *გაიხარებს?*

გადასაწყვეტი იყო არქაიზმების პრობლემაც: რომელი არქაული ლექსიკონსა და ფორმის შენარჩუნების უფლებას იძლევა თანამედროვე ქართული ენა და რომელი უკვე გაუგებარი აღმოჩნდებოდა რიგითი მკითხველისათვის. გადაწყვედა, რომ ისეთი არქაიზმები, როგორცაა *რვალი*, *სკორე*, *არვანი* და სხვა, სტილისტური თვალსაზრისით დარჩენილიყო ადაპტირებულ ტექსტში და ახსნილიყო ახსნა-განმარტებითა სიაში. სხვა შემთხვევებში კი არქაული სიტყვა და მისი თანამედროვე სინონიმი იხმარება პარალელურად, როგორც, მაგალითად, *სასოება* და *იმედი*.

ძველი ქართულის გავლენის დაძლევა საკმაოდ ძნელია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ძველსა და ახალ ქართულს შორის სხვაობა მცირეა და თითქოს სტილისტურია, სინამდვილეში კი ენაში მომხდარ სისტემურ ცვლილებას ასახავს. ასე, მაგალითად: ნაცვალსახელი *მისი* ახალ ქართულში სისტემატურად შეიცვალა ნაცვალსახელით *თავისი* (არ განაშორა *მისი* წყალობა – არ განაშორა *თავისი* წყალობა).

თანამედროვე ტექსტში შემოტანილ იქნა აგრეთვე ელემენტი *დაე*, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად გამოხატავს აგრეთვე სასურველის მნიშვნელობას და უფრო აღქმადს ხდის მას.

ფსალმუნების დამუხლვა და დასათაურება ფართოდ ცნობილი ტექსტოლოგიური პრობლემაა. პროექტზე მუშაობისას გადაწყდა, ამ ეტაპზე არ ჩავლრმაგებოდით ამ საკითხს და ნიმუშად ავირჩიეთ საპატრიარქოს 2001 წლის გამოცემა (ფსალმუნნი. წმ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანის კრიტიკულად დადგენილი ტექსტის მესამე გამოცემა. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი).

ძველი ქართული ფსალმუნების გამოცემისას პუნქტუაცია მცირედ არის გამოყენებული: არაა ბრჭყალები მიმართვის ტექსტის გამოსაყოფად და ძახილის ნიშანი ექსპრესიული ადგილების გამოსავლენად; ჩვეულებრივ, არ გამოიყენება ტირე ორი ფრაზის გაერთიანებისას და აზრის უკეთესად გამოსაკვეთად და ა. შ. თანამედროვე ქართული ტექსტის სტილისტური რედაქტირების ეტაპზე, სასვენი ნიშნების უფრო მრავალფეროვანი გამოყენებით, გამდიდრდა ტექსტის გამომსახველობითი მხარე. შევინარჩუნეთ განსხვავება აღნიშვნაში კანონის ძველ – ანბანურ (კანონი ა) და ახალ – ციფრულ (კანონი 1) სისტემებს შორის.

საკუთარი და გეოგრაფიული სახელები გადმოტანილია ძველი ქართული ფორმების შენარჩუნებით. ძველი ქართული ტრადიციული ფონეტიკური ფორმა ძირითადად ბერძნულს ეყრდნობა, ახსნა-განმარტებათა სიაში წარმოდგენილი ერთეულების განმარტებები კი – თანამედროვე თარგმანს, კერძოდ, 1989 წლის საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცემულ ბიბლიას, სადაც საკუთარი სახელები მიახლოებულია დედანთან (ებრაულ ტექსტთან). გადაწყდა, რომ შეგვენარჩუნებინა საკუთარ სახელთა გადმოცემასთან დაკავშირებული სხვაობა. ახსნა-განმარტებათა სიაში შესული საკუთარი და გეოგრაფიულ სახელები წარმოდგენილია ისე, როგორც ისინი გვხვდება საკუთრივ ფსალმუნში, ხოლო ფრჩხილებში მითითებულია მათი შესაბამისობები ბიბლიის 1989 წლის თარგმანში არსებულ ფორმებთან. მაგალითად, *აჰრონი* (*აარონი*), *მადიამი* (*მიდიანი*).

ტექსტები განლაგებულია შემდეგი თანამიმდევრობით: ძველი ქართული მხედრული ტექსტი, ძველი ქართული ნუსხური ტექსტი და თანამედროვე ქართული ადაპტაცია. წინასიტყვაობას მოსდევს ფსალმუნთა კითხვის წესი და ქართული ანბანი. წიგნს ბოლოში ერთვის ბიბლიის წიგნთა შემოკლებანი და ახსნა-განმარტებათა სია (ახსნა-განმარტებები შეადგინა ქ. გადილიამ); ამ სიაში შესული ერთეულები ადაპტირებულ ტექსტში აღნიშნულია ვარსკვლავით, როდესაც ის პირველად გვხვდება ფსალმუნში.

2010 წლის მცირეტირაჟიანმა გამოცემამ გვიჩვენა, რომ ფსალმუნების ამ წესით წარდგენა – საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიღებული ძველი ქართული კანონიკური და მისი მაქსიმალურად ზუსტად და ლიტერატურულად გამართული თანამედროვე ქართული ტექსტების პარალელურად გამოცემა – გამართლებულია. 2012 წლის გამოცემის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა წმ. დავით წინასწარმეტყველის მონასტრის ბერდიაკონმა, მამა მიქაელ ბრეგვაძემ. მისი დიდი შრომის შედეგად ტექსტი უფრო მეტად დაიხვეწა ენობრივი და სტილისტური თვალსაზრისით, დაზუსტდა ზოგიერთი ადგილი, რისთვისაც მან გამოიყენა ფსალმუნების ბერძნული გამოცემა **ΑΛΤΗΡΙΑ, Αθήνα, Κένδριζ, 1998 9η έκδοση, Αδελφότης Θεολόγων η "Ζωή"**. აღსანიშნავია, რომ ის იკითხვისები, რომლებიც გახდიდა თანამედროვე ტექსტს უფრო გასაგებს, მაგრამ დაამორება გიორგისეულს, არ იქნა გათვალისწინებული, რადგან ეს დაარღვევდა თავდაპირველ ჩანაფიქრს – არა გიორგისეული ტექსტის ტექსტოლოგიურ გამართვასა და დახვეწას, არამედ თანამედროვე მკითხველისათვის გიორგისეული კანონიკური ტექსტის აღქმის გაადვილებას.

დაიხვეწა ტექსტის გაფორმება და ფორმატირება: გაიზარდა ნუსხური შრიფტის ზომა, სათაურები და ყოველი მუხლის დასაწყისი გაფორმდა ასომთავრულით, როგორც ეს ძველ ქართულ ხელნაწერებში იყო მიღებული.

ტექსტს დაემატა დიაფსალმები (აღნიშნულია არფის სიმბოლოთი [♫]). დიაფსალმი ებრაული ტერმინის Selah-ის ბერძნული ექვივალენტია და ნიშნავს შეჩერებას, შესვენებას. დიაფსალმი მიუთითებს ფსალმუნის კითხვის პროცესში მგალობლის, ან ინტონაციის, ემოციურად განსხვავებულ განწყობის შეცვლას, ან აზრობრივი აქცენტის ცვლილებას ტექსტის სტრუქტურაში. შესაძლოა, დიაფსალმი მიუთითებდა საკრავის შეცვლას. დიაფსალმების შეტანას წმინდა ინფორმაციული ხასიათი აქვს და ფსალმუნის კითხვის დროს მლოცველს არაფრით ავალდებულებს.

ტექსტის დახვეწა-გამართვა აისახა ახსნა-განმარტებებზეც (იხ. გვ. 387). ზოგი სიტყვა (მაგალითად, *ღაწვი*, *შესაკრებელი*) ამოვიღეთ, მაგრამ ჩაუმატეთ სხვა ლექსემა (მაგალითად, *კანჯარი*).

ვიმედოვნებთ, რომ ფსალმუნთა წიგნის ეს გამოცემა საშუალებას მისცემს ქართველ კაცს, საქართველოში მცხოვრებ ყველა სხვა ერის წარმომადგენელს, უკეთესად აღიქვას ფსალმუნი და გაიგოს მისი შინაარსი, რადგან მის განკარგულებაში იქნება ადეკვატური, გიორგისეული ფსალმუნის ერთგული და სტილისტურად გამართული, თანამედროვე ქართულით გადმოცემული და გასაგები ტექსტი.

ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი მადლობას უხდის ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო წიგნის მომზადებასა და გამართვაში.

ქეთევან გადილია, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი

ფსალმუნთა კითხვის წესი

მლოცველი ჯერ წაიკითხავს დასაწყის ლოცვებს და ფსალმუნის კითხვის წინ სათქმელ ლოცვებს, შემდეგ კი უშუალოდ ფსალმუნის კითხვას დაიწყებს.

დასაწყისი ლოცვები

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალებ ჩვენ, ამინ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულს ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ალავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ (3-გ ზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალებ ჩვენ; უფალო, გვიხსენ და გვიღებინენ ცოდვათა ჩვენთაგან; მეუფეო, შეგვიინდე უსჯულოებანი ჩვენნი; წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

უფალო, შეგვიწყალებ (3-გ ზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ ღლეს და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევენ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ.

ფსალმუნის კითხვის წინ სათქმელი ლოცვები

მიწყალენ ჩვენ, უფალო, შემიწყალენ ჩვენ, რამეთუ ყოვლისავე სიტყვის მიცემი-
საგან უღონო ვართ, გარნა ამას ვედრებასა შენ, მეუფისა სახიერისა, ცოდვილნი
ესე შევსწირავთ: მიწყალენ ჩვენ, უფალო, შეგვიწყალენ ჩვენ.
დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

პატიოსნისა წინასწარმეტყველისა შენისა, უფალო, ცა ეკლესიად გამოაჩინე, რა-
თა კაცნი ანგელოზთა თანა ვიხარებდეთ; მისითა ვედრებითა, ქრისტე, ღმერთო
ჩვენო, სოფელსა მშვიდობა გარდამოუვლინე და ცხოვრება ესე ჩემი მშვიდობით
განაგე, რათა გიგალობდეთ შენ, ალილუია.
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

აურაცხელ არიან სიმრავლენი ცოდვათა ჩვენთანი, წმიდაო ღვთისმშობელო; შენ-
და მოვილტვი, ქალწულო უბიწო, და ვითხოვ წყალობასა. მოხედენ წყლულე-
ბასა ზედა სულისა ჩემისასა, ევედრე ძესა შენსა და ღმერთსა ჩემსა მოტეგებად
ურიცხვთა მათ ბრალთა ჩემთა, მხოლოო კურთხეულო.
უფალო, შეგვიწყალენ (40-ე ზის).

ყოვლადწმიდაო სამებაო, ერთარსებაო, ერთღვთაებაო, შემოქმედო ყოვლისა სოფ-
ლისაო, შემწე მეყავ მე ჟამსა ამას, განახვენ გონებანი ჩემნი გულისხმისყოფად,
რათა გონიერად და გულსმოდგინედ ვიწყო აღსრულებად კეთილთა საქმეთა და
აღმოვსოტქენე ღვთისმეტყველებანი ამის წიგნისანი, რომელი სოტქვენ სულითა შე-
ნითა წმიდითა პირითა დავითისითა, რომელ აწ მნებავს თქმად მე უღირსსა, რათა
გონიერ ვიქმნა და ვსცნა ძლიერება შენი. ამისთვის შეგივრდები და გვედრები
შენ, რათა მომიტევენე უსჯულოებანი ჩემნი, რამეთუ შენ მიერ ვითხოვ შეწევნასა.
უფალო, განაბრძენე გონება ჩემი და დაამტკიცე გული ჩემი შიშსა შენსა, რათა
დაუცხრომელად გაქებდე და გიგალობდე ბაგითა ჩემითა და ვსცნა საიდუმლონი
ესე სიტყვანი და სიხარულით განვემზადო კეთილთა საქმეთა ზედა, და ვისწავლ-
ნე მცნებანი შენნი, და აღვასრულო ნება შენი და საქმითა კეთილითა განბრწყინ-
ვებული ღირს ვიქმნე წარდგომად სამსჯავროსა მას საშინელსა, ღვთამად წმიდათა
რჩეულთა შენთათა. აწ, მეუფეო, მაკურთხე, რათა სულთვითქენე გონებითა და
გიგალობდე ენითა ჩემითა.

მოვედით, თაყვანი ვცეთ... (3-ე ზის)

ამის შემდეგ მლოცველი დაიწყებს ფსალმუნის კითხვას.

ფსალმუნთა კრებული შედგება 150 (151) ფსალმუნისაგან, რომელიც გაყოფილია ოც ნაწილად ანუ ოც კანონად. ყოველი კანონი მოიცავს სამ ქვეგანაყოფს და თითოეული განაყოფის ბოლოს მიწერილია სიტყვა **დიდება**. როდესაც ფსალმუნი **დიდებათ** მთავრდება, იქ მლოცველი ამბობს შემდეგს:

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

აღილუა, აღილუა, აღილუა, დიდება შენდა, ღმერთო (3-გ ზის).

უფალო, შეგვიწყალებ (3-გ ზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალებ ღვთივდაცული ერი ჩვენი, მთავრობა და მხედრობა მისი; უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფე, მამა ჩვენი ილია; საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდი, სულიერნი დანი და ძმანი ჩვენნი (სახელები) და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი. მიანიჭე მათ მშვიდობა შენი და აღავსენ იგინი ყოვლითა კეთილითა.

განუსვენე, ქრისტე ღმერთო, სულთა გარდაცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთა (სახელები); განუსვენე მათ, სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისა, სადა იგი არ არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი და მიუტევე მათ ყოველნი შეცოდებანი მათნი და მიეც მათ საუკუნო ხსენება.

აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შემდეგ მლოცველი აგრძელებს მომდევნო ფსალმუნის ან მომდევნო კანონის კითხვას.



ქ ა რ თ უ ლ ი
 ა ნ ბ ა ნ ი

ასომთავრული ნუსხური მხედრული

Ⴀ	Ⴁ	Ⴂ
Ⴃ	Ⴄ	Ⴅ
Ⴆ	Ⴇ	Ⴈ
Ⴉ	Ⴊ	Ⴋ
Ⴌ	Ⴍ	Ⴎ
Ⴏ	Ⴐ	Ⴑ
Ⴒ	Ⴓ	Ⴔ
Ⴕ	Ⴖ	Ⴗ
Ⴘ	Ⴙ	Ⴚ
Ⴛ	Ⴜ	Ⴝ
Ⴞ	Ⴟ	Ⴀ
Ⴁ	Ⴂ	Ⴃ
Ⴄ	Ⴅ	Ⴆ
Ⴇ	Ⴈ	Ⴉ
Ⴊ	Ⴋ	Ⴌ
Ⴍ	Ⴎ	Ⴏ
Ⴐ	Ⴑ	Ⴒ
Ⴓ	Ⴔ	Ⴕ
Ⴖ	Ⴗ	Ⴘ
Ⴙ	Ⴚ	Ⴛ
Ⴜ	Ⴝ	Ⴞ
Ⴟ	Ⴀ	Ⴁ

ასომთავრული ნუსხური მხედრული

Ⴀ	Ⴁ	Ⴂ
Ⴃ	Ⴄ	Ⴅ
Ⴆ	Ⴇ	Ⴈ
Ⴉ	Ⴊ	Ⴋ
Ⴌ	Ⴍ	Ⴎ
Ⴏ	Ⴐ	Ⴑ
Ⴒ	Ⴓ	Ⴔ
Ⴕ	Ⴖ	Ⴗ
Ⴘ	Ⴙ	Ⴚ
Ⴛ	Ⴜ	Ⴝ
Ⴞ	Ⴟ	Ⴀ
Ⴁ	Ⴂ	Ⴃ
Ⴄ	Ⴅ	Ⴆ
Ⴇ	Ⴈ	Ⴉ
Ⴊ	Ⴋ	Ⴌ
Ⴍ	Ⴎ	Ⴏ
Ⴐ	Ⴑ	Ⴒ
Ⴓ	Ⴔ	Ⴕ
Ⴖ	Ⴗ	Ⴘ
Ⴙ	Ⴚ	Ⴛ
Ⴜ	Ⴝ	Ⴞ
Ⴟ	Ⴀ	Ⴁ

